ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4106443

ნომერი: AR1611171

თარიღი : 26.06.2018

გაცემის თარიღი : 06.08.2018

გაცნობის თარიღი : 06.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გულუას ქუჩაზე ვულკანიზაციის საამქროს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გულუას ქ.ვულკანიზაციის საამქროს მიმდებერედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულუა , N 3 , მიმდებარედ (ნაკვ. 03/036);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან პერტაია პ/ნ 35001033450
- თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. I, კვ. #47, კორ. 2, ბ. 105

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - კრწანისი, გულუას

ქუჩაზე ვულკანიზაციის საამქროს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გულუას ქ.ვულკანიზაციის საამქროს მიმდებერედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა გულუა , N 3 , მიმდებარედ (ნაკვ. 03/036), შპს „GPG group”-ის საკუთრებაში არსებული N1 შენობის ფასადზე საჩრდილობლის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს. I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო მონაცემები N 01.18.05.003.094; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 892017020599, 30/10/2017 წ; 11:07:29სთ; არსებული ფოტოსურათები, საპროექტო ფოტომონტაჟი;) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - კრწანისი, გულუას ქუჩაზე ვულკანიზაციის საამქროს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გულუას ქ.ვულკანიზაციის საამქროს მიმდებერედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა გულუა , N 3 , მიმდებარედ (ნაკვ. 03/036), შპს „GPG group”-ის საკუთრებაში არსებული N1 შენობის ფასადზე საჩრდილობლის მოწყობის შესაძლებლობას.

ამასთან, გაითვალისწინეთ:

-სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას

---

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.